საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონსტანტინე IX მონომაქოსი

კონსტანტინე IX მონომაქოსი (დაახლ.1000, კონსტანტინ-ოპოლი, – 11. I. 1055, იქვე), ბიზანტიის იმპერატორი (1042–55). განეკუთვნებოდა დედაქალაქის არისტოკრატიას. საიმპერატორო ტახტი მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთან – დედოფალ ზოიასთან ქორწინების (1042) შემდეგ დაიკავა. კ. IX-ის მმართველობისას იმპერიაში დაწყებულ ფეოდალურ ამბოხებებს ზედ ერთვოდა იტალიაზე ნორმანების, იმპერიის აზიურ ნაწილზე – სელჩუკების, ხოლო ბალკანურ პროვინციებზე პაჭანიკებისა და რუსების (1043) თავდასხმები. 1045 კ. IX-მ დაიკავა სომხ. დედაქალაქი ანისი. ეკლესიის გაყოფის გამო (1054) ურთიერთობა გაურთულდა რომის პაპთან.

კ. IX-ის მიერ 1044–47 კონსტანტინოპოლში დაარსებული მანგანის აკადემიაში, რ-იც ბერძენთა რენესანსის კერად გადაიქცა, არაერთმა ქართველმა მიიღო განათლება, მ. შ. *არსენ იყალთოელმა* და *იოანე პეტრიწმა*.

კ. IX, ისე როგორც მისი წინამორბედი იმპერატორების აღმოსავლური პოლიტიკა, მიზნად ისახავდა ერთიანი საქართველოს დასუსტებას. კ. IX საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ფეოდალს, ლიპარიტ ბაღვაშს მფარველობდა. ვითარება ისე გართულდა, რომ ბაგრატ IV-მ თავისი მცირეწლოვანი ძე – გიორგი ქუთაისში დას. საქართველოს მეფედ დასვა (1052), თვითონ კონსტანტინოპოლში ჩავიდა და კ. IX-ს სთხოვა ლიპარიტთან შერიგება. კ. IX-ს ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში სამი წელი ფაქტობრივად საპატიო ტყვეობაში ჰყავდა. XI ს. ბიზანტიელი ქრონისტის – გიორგი კედრენეს ცნობით, „მეფის მეცადინეობით“ ბაგრატ IV და ლიპარიტი შეთანხმდნენ: ბაგრატი იქნებოდა „ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა“, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის, „მესხეთის მთავარი სიკვდილამდე“; იგი ბაგრატს სცნობდა „ბატონად და მეფედ.“ როცა გიორგი

მთაწმიდელი ათონის მთიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა და კ. IX-ს საყდრის გადასახურავად ტყვია სთხოვა, ბაგრატ მეფე და მისი დედა მარიამი ჯერ კიდევ იქ იყვნენ. გიორგი მთაწმიდელმა კ. IX-საგან ტყვიასთან ერთად სხვა ბევრი წყალობაც მიიღო.

წყარო: გიორგი კედრენე, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. Зоя и Феодора, Константин IX წგ: Михаил Псел, Хронография. Пер., статья и примеч. Я. Н. Любарского, М., 1978.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969.

ვ. გოილაძე